02/01/2021

თურქეთის პრეზიდენტმა ახალ წელს აია სოფიაში ილოცა

ახალი წლის დადგომასთან ერთად თურქეთის მთავრობა კვლავ აგრძელებს კონსტანტინეპოლის ისტორიული საკათედრო ტაძარ აია სოფიათი სპეკულაციებს. ტაძარში მუსლიმური ლოცვის შემდეგ თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა, რომ აია სოფიას მეჩეთად გადაკეთება იყო “2020 წლის გვირგვინი”.

შეგახსენებთ, აია სოფია, როგორც მსოფლიო საპატრიარქოს საკათედრო ტაძარი აიგო 537 წელს, ხოლო ისლამი, როგორც რელიგია დაახლოებით ასი წლის შემდეგ, VII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

აქვე შეგახსენებთ, რომ აია სოფია ფუნქციონირებდა:

537-1204 წლებში – ქრისტიანულ (მართლმადიდებლურ) საკათედრო ტაძრად;

1204-1261 წლებში – კათოლიკურ საკათედრო ტაძრად;

1261-1453 წლებში – მართლმადიდებლურ საკათედრო ტაძრად’

1453-1930 წლებში – მეჩეთად;

1935-2020 წლებში – მუზეუმად.

2020 წლის 24 ივლისიდან, სამწუხაროდ, აია სოფია კვლავ მეჩეთად გადაკეთდა.

— wenews.ge